ბიზნესის განწყობის ინდექსი

34.7

გაიზარდა

სრული სვლით ეკონომიკური აღდგენისკენ

III 33 2021

კვლევაში მონაწილე კომპანიები

დიდი	მცირე და საშუალო
	
31	97

კვლევის ძირითადი შედეგები



- 2021 წლის III კვარტლისთვის ბიზნესის განწყობის ინდექსი (BCI) 34.7 პუნქტით გაიზარდა და 36.4-ს გაუტოლდა, წინა კვარტალში მცირედი გაუარესების შემდეგ. ბიზნესის განწყობის ყველაზე დიდი გაუმჯობესება ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა, რომელსაც მოყვება სოფლის მეურნეობისა და მომსახურების სექტორები. BCI-ის დადებითი ცვლილება 2021 წლის III კვარტლისთვის ოპტიმისტურმა მოლოდინებმა და გაუმჯობესებულმა მიმდინარე მდგომარეობამ განაპირობა.

- მიმდინარე მდგომარეობის ინდექსი, რომელიც კომპანიების მიერ გასული კვარტლის განმავლობაში საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას ეყრდნობა, 2021 წლის II კვარტალთან შედარებით 50.7 პუნქტით გაიზარდა და 2021 წლის III კვარტლისთვის 46.6-ს მიაღწია. მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე დიდი გაუმჯობესება სოფლის მეურნეობის სექტორში დაფიქსირდა.

- ბიზნესის მოლოდინების ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს, რამდენად ოპტიმისტურად არის განწყობილი ბიზნეს სექტორი მომავლის მიმართ, 2021 წლის II კვარტლის გაუარესების შემდეგ გაუმჯობესდა და 45.2 პუნქტი შეადგინა. 2021 წლის III კვარტლისთვის მოლოდინების ზრდა დაფიქსირდა ყველა სექტორში, გარდა საფინანსო სექტორისა, სადაც ის იმავე დონეზე დარჩა.

- გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსი გაიზარდა 1.2-ით და 18.4 პუნქტს მიაღწია. ეს მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ ბიზნესების მცირედით გაზრდილი წილი ვარაუდობს ფასების გაზრდას საკუთარ პროდუქტზე. გასაყიდი ფასების მოლოდინების ინდექსის ზრდა მრეწველობის სექტორში აღნიშნული მაჩვენებლის საგრძნობი ზრდითაა გამოწვეული.

(*) ბიზნესის განწყობის ინდექსი იცვლება [-100; +100] სკალაზე. ინდექსის სიდიდე გვაჩვენებს გამოკითხული რესპონდენტების დადებითი და უარყოფითი პასუხების შეწონილ ბალანსს. თუკი გამოკითხული ბიზნესების 100% იქნება პოზიტიურად განწყობილი, მაშინ ინდექსი გაუტოლდება 100-ს. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი უარყოფითად არის განწყობილი. თუ განწყობის ინდექსი გაუტოლდება 0-ს, ნიშნავს, რომ დადებითად და უარყოფითად/ნეიტრალურად განწყობილი ბიზნესების განაწილება თანაბარია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მეთოდოლოგიური შენიშვნები).

ISET International School of Economics at TSU Policy Institute
bia Business Information Agency
ICC GEORGIA INTERNATIONAL CHAMBER OF COMMERCE
CCI FRANÇAISE EN GEORGIE
GSMEA

ბიზნესის განწყობის ინდექსი

მცირე და საშუალო			დიდი		
					
კვ **III/21**		ცვლილება	კვ **III/21**		ცვლილება
8.2	▲	**17.9**	**42.1**	▲	**39.7**

ბიზნესის განწყობის ინდექსი სექტორების მიხედვით, კვარტალური ზრდა

სექტორი	კვ **III/21**		ცვლილება
მრეწველობა	**13.6**	▲	**12.5**
მშენებლობა	**14.2**	▲	**17.0**
ვაჭრობა	**24.0**	▲	**75.5**
მომსახურება	**49.7**	▲	**30.8**
სოფლის მეურნეობა	**42.2**	▲	**55.9**
საფინანსო სექტორი	**20.6**	▲	**2.9**
სხვა	**64.8**	▲	**32.3**

მოთხოვნისა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირე ბიზნეს საქმიანობისთვის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან შემზღუდველ ფაქტორად რჩება. ამასთან, კვალიფიციური კადრების ნაკლებობა დიდი ზომის საწარმოებისთვის უფრო მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ვიდრე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის. 2021 წლის III კვარტლისთვის, "სხვა" ფაქტორები ნაკლებად მნიშვნელოვანია როგორც დიდი, ისე მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის (გასული ოთხი კვარტლის მდგომარეობით, საშუალოდ, დიდი კომპანიების 35% და მცირე და საშუალო კომპანიების 31% ასახელებდა "სხვა" ფაქტორებს მთავარ შემზღუდველ ფაქტორად), რაც შესაძლოა COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვების შემსუბუქებაზე მიუთითებდეს.

ბიზნესსაქმიანობის შემზღუდველი ფაქტორები III კვარტალი, 2021 წელი